ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 6

29 იანვარი
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127² მუხლის მე-3 პუნქტისა და„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისშესაბამისად,ასევე,საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" №322 დადგენილების გათვალისწინებით, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1689.2073 განკარგულების საფუძველზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის, რომლებზეც გავრცელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის №20.479.625 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №79 განკარგულებებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები, 2021 წლის 1 იანვრიდან31 იანვრის ჩათვლითპერიოდზე შესაბამისი იჯარისხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირაშემცირდეს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ა) ასეთ მოიჯარეს, რომელსაც ფაქტობრივად გადახდილი აქვს2021 წლის 1 იანვრიდან პერიოდზესაიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე

საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილიქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოსმომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

ბ) ასეთ მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 იანვრიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 თებერვლამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

გ) მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების მიზნით, გაათავისუფლოს ასეთი მოიჯარეები შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაკისრებული/დასაკისრებელიპირგასამტეხლოსგან, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის ფორმით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის, რომლებთანაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 მაისის №20.479.625 და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №79 განკარგულებების გამოცემის შემდგომ,2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შემცირდეს და განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით, გარდა ამ განკარგულებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ა) ასეთ მოიჯარეს, რომელსაც ფაქტობრივად გადახდილი აქვს 2020 წლის 1 დეკემბრიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩაეთვალოს მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად;

ბ) ასეთ მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2020 წლის 1 დეკემბრიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 თებერვლამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვალოს და განესაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

გ) მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების მიზნით, გაათავისუფლოს ასეთი მოიჯარეები შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის

გამო, დაკისრებული/დასაკისრებელიპირგასამტეხლოსგან, შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე;

დ) ასეთ მოიჯარეს შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებების გაფორმებიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდზე გადაუხდელი იჯარის ქირის გადახდის ბოლო ვადად განესაზღვროს 2021 წლის 1 ივლისი. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ასეთი მოიჯარეები გაანთავისუფლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №20.1689.2073 განკარგულების გამოცემის დღიდან 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო.

3. გადახდილი საიჯარო ქირადაპირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას.

4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახოს იმ ქვემოიჯარეებზე, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**